საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8113
23/12/2022

8113-21-2-202212231031

შპს „გეოპლანტ პლიუსს“
მის: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს.ჩიქოვანის ქ., N 7, ბ. 35
ელ. ფოსტა: geoplant20@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7222 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს რეზერვუარების და წყალაღების წერტილიდან ნუშის ბაღებამდე წყლის მაგისტრალური მილსადენის Shp ფაილები; ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მაგისტრალური მილის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო წყალაღება განხორციელდება მდ. ალაზნიდან (X-637154.00 Y-4579653.00). აღნიშნულ წერტილში, მიწის ზემოდან, განთავსდება ბეტონის ფილა (პარამეტრები - სიგრძე 3 მ, სიგანე 2 მ, სიმაღლე 0,2 მ), რომელზეც განთავსდება სამი ერთმანეთის იდენტური, მშრალი ტიპის, ტუმბო (სიმძლავრე - 11 კვტ, წარმადობა - 120 მ 3 /სთ). აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ბეტონის ფილის და მასზე განთავსებული ტუმბოების GPS კოორდინატები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო